



საჯარო სკოლების მასწავლებლებსა და მოსწავლეებს დისტანციური სწავლების ხელშეწყობისთვის ინფორმაციის ასახვის ინსტრუქცია, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool).

დისტანციური სწავლების ხელშეწყობის მიზნით, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool), ინფორმაციის ასახვის მიზნით შეასრულეთ მოქმედებები შემდეგი თანმიმდევრობით:

1. სისტემაში ავტორიზაციისთვის ისარგებლეთ კონკრეტული თანამშრომლის მომხმარებელითა და პაროლით, რომელსაც გააჩნია ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) ადმინისტრირების უფლება და პირების მენეჯერში დილაკი „ძებნა“ საშუალებით, განახორციელეთ მოსწავლის/მოსწავლეების ძებნა, როგორც ეს ქვემოთ ნაჩვენებ ფოტოზეა;



2. კონკრეტულ მოსწავლეზე, ინფორმაციის ასახვის მიზნით, გახსენით მოსწავლის პირადი ბარათი;



3. მოსწავლის პირადი ბარათის გახსნის შემდგომ, უნდა განახორციელოთ, მოსწავლის ფაქტობრივი მისამართისა და მობილური ნომრის გრაფების შევსება, თუ კი ეს უკანასკნელი აქვს მოსწავლეს, აღნიშნული გრაფების შევსების შემდგომ,

ინფორმაციის შენახვის მიზნით უნდა დააწვთ ღილაკ „ შენახვას”, როგორც ეს ქვემოთ ნაჩვენებ ფოტოზეა;

გაითვალისწინეთ: დისტანციური სწავლების ხელშეწყობის მიზნით, ინფორმაციის სრულყოფილად ასახვისათვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლეს, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool), ჰყავდეს მითითებული მშობელი, მათი საკონტაქტო მონაცემებით.

მოსწავლის პირად ბარათში, დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციის ასახვის მიზნით უნდა გადახვიდეთ ჩანართზე „გამოკითხვა” როგორც ეს ქვემოთ ნაჩვენებ ფოტოზეა;

4. ჩანართზე „გამოკითხვა” გადასვლის შემდგომ, გამოვარჩევა აუცილებლად შესავსები კითხვების ჩამონათვალი, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სრულყოფილი ინფორმაციის მიღებისათვის:

იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ შეკითხვებზე მონიშნავთ პასუხს „დიახ“ სიტემაში გამოჩნდება დამატებითი დეტალური შეკითხვების ჩამონათვალი, რომელიც აუცილებლად შესავსებ ველებს წარმოადგენს.

ა) შეკითხვაზე, გაქვთ თუ არა სახლში ინტერნეტი, პასუხის „დიახ“ მონიშვნის შემთხვევაში, გამოდის დამატებითი კითხვების ჩამონათვალი;

გაქვთ თუ არა სახლში ინტერნეტი?	<input checked="" type="radio"/> დიახ	<input type="radio"/> არა
კაბელით ინტერნეტ კავშირი (ოპტიკა, DSL, რადიო კავშირი):	<input type="radio"/> დიახ	<input checked="" type="radio"/> არა
მობილური ინტერნეტ კავშირი (GSM, 3G/4G):	<input type="radio"/> დიახ	<input type="radio"/> არა

იმ შემთხვევაში, თუ მონიშნავთ, რომ მოსწავლეს აქვს კაბელით ინტერნეტ კავშირი (ოპტიკა, DSL, რადიო კავშირი) აუცილებლად უნდა გასცეთ პასუხები შემდეგ კითხვებს, რომელებიც ჩამოიშლება ავტომატურად პასუხის „ დიახ“ მონიშვნის დროს.

გაქვთ თუ არა სახლში ინტერნეტი?	<input checked="" type="radio"/> დიახ	<input type="radio"/> არა
კაბელით ინტერნეტ კავშირი (ოპტიკა, DSL, რადიო კავშირი):	<input checked="" type="radio"/> დიახ	<input type="radio"/> არა
გაქვთ თუ არა Wi-Fi დაფარვა სახლში?	<input type="radio"/> დიახ	<input checked="" type="radio"/> არა
ინტერნეტ პროვაიდერი:	<input type="text"/>	

გაითვალისწინეთ: ინტერნეტ პროვაიდერის შერჩევა უნდა განახორციელოთ მოცემული ჩამონათვალიდან, ხოლო, იმ შემთხვევაში თუ, კონკრეტული ინტერნეტ პროვაიდერი არ არის ჩამონათვალში, მაშინ მონიშნეთ სხვა.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე იყენებს მობილურ ინტერნეტს, ჩამონათვალიდან, აუცილებლად, უნდა აირჩიოთ შესაბამისი პროვაიდერი და მონიშნოთ აღნიშნული მობილური ინტერნეტი ვის ნომერზეა გაათიურებული ან ხომ არ არის სიმ ბარათის გარეშე.

შენიშვნა: ასარჩევი ნომრების ჩამონათვალი გამოვა ავტომატურად, იმის მიხედვით თუ რა ნომრებია ასახული მოსწავლის და მშობლების პირად ბარათებში. იმ შემთხვევაში თუ, მოსწავლის ან მშობლის ნომერი არის დასარედაქტირებელი, რედაქტირება უნდა განხორციელდეს პირადი ბარათებიდან.

გ) შეკითვაზე, გაქვს თუ არა სახლში კომპიუტერული მონყობილობა, პასუხის „დიახ“ გაცემის შემთხვევაში გამოდის დამატებითი კითხვების ჩამონათვალი.

გაქვთ თუ არა სახლში კომპიუტერული მონყობილობა? დიახ არა

გაქვთ თუ არა სახლში კომპიუტერული მონყობილობა? დიახ არა

რა ტიპის კომპიუტერული მონყობილობა გაქვთ?	რაოდენობა
სამაგიდო კომპიუტერი	0
ლუპტოპი (მათ შორის ბუკი)	0
პლანშეტი	0
სმარტფონი	0

იმის გათვალისწინებით, თუ რომელი კომპიუტერული მონყობილობა აქვს მოსწავლეს, შესაბამისი მონყობილობის გრაფის გასწვრივ, უთითებთ მონყობილობის რაოდენობას და აწვებით ღილაკს „შენახვა“.